პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 225 (6280)

1978 წ. 18 ნოემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




## ურყევი რწმენის ნაყოფი

„პური ჩვენი არსობისა..." დაკვირვებიხარ, მკითხველო, რა დიდი აზრი დევს ამ სამ სიტყვაში?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** სწორედ პურზე საუბრით იწყებს თავის ნაწარმოებს — „ყამირი", რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა.

„ყამირი" ცხადი, მართალი და ნათელი წიგნია, ფასდაუდებელი მნიშვნელობის შენაძენია, პარტიისა და ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე მშრომელთა აღზრდის დიდი საშუალებაა...

ამ შესანიშნავ ნაწარმოებში ნათლად არის ნაჩვენები, რომ ყამირის დამორჩილება შეეძლო მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელსაც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი პარტიის, ლენინის საქმისადმი ერთგულება, ნათელი, ბედნიერი მომავლის ურყევი რწმენა. სწორედ ეს რწმენა, ერთგულება და თავდადება იყო ის თავისებური ნიშანსვეტი, რომელმაც საბჭოთა ადამიანებს შეაძლებინა გამოეჩინათ დიდი შრომითი გმირობა.

ახლა ყამირი პურეულის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრია ჩვენს ქვეყანაში, მიღებულია სარეკორდო მოსავალი — მილიარდ ფუთზე მეტი ხორბალი. მაგრამ, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი აღნიშნავს, „ყამირი მარტოოდენ სახნავი როდია. ეს არის საცხოვრებელი სახლებიც, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, ბაღები, კლუბები, ახალი გზები"...

საამაყოა, რომ ამ დიდ საქმეში, ყამირის ათვისებისა და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ცენტრად გადაქცევის საქმეში ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების წარგზავნილებთან ერთად, საქართველოს მშრომელებსაც მიუძღვით თავიანთი წვლილი. რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან ერთად, ყამირზე მიემგზავრებოდნენ ქართველი ახალგაზრდები. ბევრმა მათგანმა თავდადებული შრომით გამოიჩინა თავი.

რა თქმა უნდა, ყამირის ათვისების პირველ წლებში შრომა-დასვენების პირობები სახარბიელო როდი იყო, მაგრამ მერე და მერე, როცა პირველი სიძნელეები უკან დარჩა. ყამირელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, კულტურული დასვენება-გართობის ორგანიზაციასაც მიექცა კუთვნილი ყურადღება.

ყამირის ახლადშექმნილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩნდნენ ფიზკულტურის პირველი კოლექტივებიც. ჩვენი რესპუბლიკა აქაც არ დარჩენილა ვალში. 1962 წლის ზაფხულში საქართველოს სპორტკომიტეტმა ორი სპეციალური ბრიგადა მიავლინა ყამირზე (თითოეულში 10-10 ფიზკულტურული მუშაკი შედიოდა) საშეფო მუშაობის ჩასატარებლად. ბრიგადის წევრებმა თან წაიღეს აუცილებელი სპორტული ინვენტარ-აღჭურვილობა, სპორტული ლიტერატურა, ფიზკულტურის კოლექტივის დოკუმენტაციები, პლაკატები და სხვ.

შეფებმა 15 დღის განმავლობაში ბევრ ადგილობრივ საბჭოთა მეურნეობაში და წარმოება-დაწესებულებაში ჩამოაყალიბეს ფიზკულტურის კოლექტივები, დაურიგეს სპორტული ფორმა და ინვენტარი, თუმცა უმჯობესია თვით ერთ-ერთი ბრიგადის ხელმძღვანელს, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს უფროს ინსტრუქტორს **ომარ ჩიქოვანს** მოვუსმინოთ:

— ყამირელთა შრომითი თავდადების ამბავი მაშინ ლეგენდასავით დადიოდა, — იგონებს ომარი, — მაგრამ როცა ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახეთ, სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს იყო თვალუწვდენელი მინდვრები (ერთი მეურნეობა მეორისაგან 150-200 კილომეტრით იყო დაცილებული), ადამიანის ხელით გაკეთილშობილებული და ხალხის სამსახურში ჩაყენებული. და აი, ახლა, როცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის შესანიშნავი ნაწარმოები წავიკითხე, კიდევ ერთხელ დამიდგა თვალწინ იმ დღეების შრომითი ჰეროიკა, ის ენთუზიაზმი და შემართება, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის წარგზავნილნი ავლენდნენ. სწორედ იმ პერიოდში იდგმებოდა პირველი ნაბიჯები ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაშლელად და სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ ჩვენც, ქართველმა სპეციალისტებმაც შევიტანეთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი ამ საჭირო საქმეში. ჩვენი ბრიგადა კოქჩეტავის ოლქის კზილტუს რაიონში შედგა საშეფო საქმიანობას. ეს რაიონი 25 საბჭოთა მეურნეობას აერთიანებდა. ადგილებზე ჩამოვაყალიბეთ ფიზკულტურული კოლექტივები და სპორტული სექციები, ავირჩიეთ კოლექტივის საბჭოს შემადგენლობა და სექციების ხელმძღვანელები. ფიზკულტურელებს ვაჩუქეთ სპორტული ფორმა-ინვენტარი, დავეხმარეთ მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობაში, შეჯიბრებების ორგანიზაციაში. ამასთან ერთად ჩავატარეთ საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მოსამზადებელი სემინარები. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგებმა შ. ბუაძემ და ჰ. ათაბეგოვმა წაიკითხეს ლექციები ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე. ბოლოს ყამირელი ფიზკულტურელების მონაწილეობით ჩავატარეთ სპორტული ზეიმი. ნაყოფიერად იმუშავა მეორე ბრიგადამაც, რომელსაც ბორის კოვალიოვი ხელმძღვანელობდა.

• • •

ახლა ყამირზე, ყველა ოლქში, ქალაქსა და რაიონში, წარმოება-დაწესებულებასა და საბჭოთა მეურნეობაში ფართოდაა დანერგილი ფიზიკური კულტურა და სპორტი, რაც სოფლის მეურნეობის მუშაკებს ნაყოფიერი შრომის კარგ საფუძველს უქმნის.

**ლია ჩიქლაური.**

## დიდი გამარჯვებაც მოვიდა

**როგორც** ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამას წინათ რიო-დე-ჟანეიროში, „მარაკანაზინიუს" სტადიონის ხარბიელზე დამთავრდა სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიოს V ჩემპიონატი, სადაც წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა მოჭიდავეებმა და მსგავსი ტურნირების ისტორიაში პირველად მოიპოვეს პლანეტის ჩემპიონის საპატიო ტიტული.

ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას სხვებთან ერთად იცავდნენ ქართველი ძიუდოისტები: დილარ ხაბულიანი, ბორის გოგიჩაშვილი და ნუგზარ ნუგზარიშვილი. რიო-დე-ჟანეიროში მსაჯად იყო მიწვეული ცნობილი ფალავანი ანზორ ქიბროწაშვილი.

ამ დღეებში თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **დილარ ხაბულიანი** რედაქციაში გვეწვია. ვფიქრობთ, „ლელოს" მკითხველებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება მისი ნაამბობი:

— **ჩვენი** ქვეყნის ნაკრები გულმოდგინედ ემზადებოდა ამ ჩემპიონატისთვის. უფროსმა მწვრთნელმა ვიქტორ კობლევმა გამოცდილ ძიუდოისტებთან (მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვლადიმერ ნევზოროვი, ევროპის ჩემპიონი ჰუსეინ ჯარაევი, ევროპის ჩემპიონატის მრავალგზის პრიზიორი ვლადიმერ გავრინი) ერთად, გუნდში ახალბედა სპორტსმენებიც მიიწვია და როგორც შემდეგ გამოირკვა, ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრების დებიუტანტებმა გაამართლეს იმედები.

რიო-დე-ჟანეიროში 20 ქვეყნის 150-მდე მოჭიდავემ მოიყარა თავი. ასპარეზობის მსვლელობის მანძილზე „მარაკანაზინიუს" სპორტულ კომპლექსს (იგი 12 ათას კაცს იტევს) მაყურებელი არ მოჰკლებია. შეჯიბრების პირველი დღეები პირად პირველობებს დაეთმო. ჩვენს ნაკრებს პირველი მედალი მაიკოპელმა ქვემძიმეწონოსანმა ვლადიმერ გურინმა მოუტანა. მან ყველა ორთაბრძოლა დიდი აღმავლობით ჩაატარა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი იაპონელი კინძირო მოტოტანი დაამარცხა და ოქროს მედალი დაისაკუთრა. მძიმე წონის ძიუდოისტთა შორის ყველას აჯობა მასპინძელთა გუნდის წევრმა ოსვალდო სიმოესმა.

შემდეგ ტატამზე საშუალო წონის ძიუდოისტებს უხმეს. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა ბორის გოგიჩაშვილმა კარგად აიღო სტარტი, ზედიზედ დაამარცხა ბრაზილიის, აშშ-ს, იაპონიის, პოლონეთის წარმომადგენლები და ფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე იყო იტალიელი მარიო ვეკი. ეს შეხვედრა უაღრესად დაძაბულად წარიმართა. ბორისი ფიცხლად, გაბედულად ჭიდაობდა, მაგრამ ორთაბრძოლის მიწურულს მოწინააღმდეგის ილეთს წამოეგო და წმინდად დამარცხდა. თუმცა 20 წლის სპორტსმენისთვის ვერცხლის მედალიც საპატიო ჯილდოდ უნდა ჩაითვალოს.

ქვესაშუალო წონის მოჭიდავეთა ასპარეზობაში 19 კაცი ჩაება. წინასწარი შეხვედრები ქულებით მოვუგე პოლონეთის, გფრ-ისა და საფრანგეთის გუნდის წევრებს, იუგოსლაველ როსლიჩთან წმინდა გამარჯვებას მივაღწიე, ნახევარფინალში კი მასპინძელთა წარმომადგენელი მენანი დავამარცხე. და აი, ფინალი. ჩემს პირისპირ იაპონელი იოშიხისე დიბა დგას. მეტოქემ სწრაფი ტემპი შემომთავაზა, მეც ავყევი. მე-4 წუთზე კონტრილეთზე მოვყევი და იაპონელმა „კოკა" დამისახურა. მე-6 წუთზე ჩემს მიერ შესრულებულ გდებას მსაჯებმა ასეთივე შეფასება მისცეს. მდგომარეობა გათანაბრდა. შეხვედრის დამთავრებას 12 წამი აკლია და... მსაჯები გაფრთხილებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ძიუდო

მაძლევ[illegible] ძნელია გარდატეხის შეტანა. იაპონელს ოქროს მედალი გადასცეს, მე — ვერცხლისა.

გუნდურ შეჯიბრებაში 18 კოლექტივი ჩაება. ქვეჯგუფში საბჭოთა ნაკრებთან ერთად იაპონიის, პოლონეთის, კორეისა და ბრაზილიის ძლიერი გუნდები გამოდიოდნენ. ჩვენ ჯერ ბრაზილიელები დავამარცხეთ ანგარიშით 4:2, შემდეგ კი იაპონელებს შევხვდით, რომლებმაც თავის მხრივ დიდი ანგარიშით (6:1) სძლიეს პოლონელებს. ძიუდოს ფუძემდებლებთან შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. პირველი ორი ორთაბრძოლა იაპონელებმა მოიგეს და დაწინაურდნენ — 2:0. მესამე შეხვედრა. ჩემს პირისპირ ისევ იოშიხისე დიბა დგას. ამჯერად რევანში ავიღე — პირველსავე წუთზე მტკივნეული ილეთი ჩავატარე და წმინდად გავიმარჯვე. წმინდად გაიმარჯვა, აგრეთვე, გურინმა, ხოლო პაშკინმა, რომელმაც ჩვენს გუნდში გოგიჩაშვილი შეცვალა, ქულებით დაამარცხა მეტოქე. მართალია, მძიმეწონოსანთა შეხვედრაში ნუგზარ ნუგზარიშვილი დამარცხდა აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულ ისიკორე იამასიტოსთან, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც ჩვენს გუნდს დარჩა.

ფინალში ჩვენი მეტოქე საფრანგეთის გუნდი იყო, რომელმაც ყველას აჯობა მეორე ქვეჯგუფში. გადამწყვეტი შეხვედრა დამაჯერებლად მოვიგეთ (6:1) და პირველად დავეუფლეთ მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო თასს. III-IV ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ იაპონიისა და ბრაზილიის გუნდები. იაპონელებმა იოლად (5:2) გაიმარჯვეს და III საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, იაპონელების ჰეგემონიას ძიუდოში თანდათან ეცლება საფუძველი, რაც სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატზეც დადასტურდა.

• • •

ამ დღეებში ტოკიოში გაიმართება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ძიუდოს დაარსების 100 წლისთავს ეძღვნება. ნავარაუდევია, რომ ამ შეჯიბრებაში მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტები მიიღებენ მონაწილეობას. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში, რომელიც იაპონიაში გაემგზავრება, ქართველი ძიუდოისტები — დილარ ხაბულიანი და ბორის გოგიჩაშვილიც იქნებიან.

**ე. ბერიშვილი.**

• • •

**სურათზე:** მარცხნიდან — დ. ხაბულიანი, ა. ქიბროწაშვილი და ბ. გოგიჩაშვილი.



### ძალოსნობა

## კიდევ ორი რეკორდი

**11-17 დეკემბერს** ფერგანაში გაიმართება ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატი და ქვეყნის თასის გათამაშება. ჩვენი ქვეყნის ქალაქებში უკვე ტარდება ასპარეზობანი, რომელთა მიზანია მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებისთვის საუკეთესო სპორტსმენების შერჩევა მომავალი დიდი სტარტებისთვის.

ცხადია, მთელ რიგ ტურნირებზე ახალგაზრდობა რეკორდებს წარმატებით უტევს, ზოგიერთი მათგანის შესახებ უკვე ვიტყობინებოდით. ახლა დავუმატებთ, რომ თემირტაუშსა და ელექტროსტალში კიდევ ორი რეკორდი დამყარდა.

თემირტაუში, ყაზახეთის თასის გათამაშებაზე, კუსტანაიელმა ა. იარემენკომ (110 კგ-მდე წონა) 181-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა და 1 კილოგრამით „დაამძიმა" მინსკელი ლ. ტარანენკოს საკავშირო რეკორდი, რომელიც ორი დღის უკან ბელორუსიის თასის გათამაშების დროს იყო ნაჩვენები.

ელექტროსტალში რსფსრ-ს ჩემპიონატი მიმდინარეობს. აქ 25 წლის ნოვოკუიბიშეველმა ა. ლოგუტოვმა (75 კგ) მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკვრაში — 196,5 კგ. ეს შედეგი ნახევარი კილოგრამით სჯობს ევროპის ჩემპიონის, ლენინაკანელი ვ. მილიტოსიანის ადრინდელ მიღწევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## მთავარი გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

# დღესვე, ყველამ ერთად!



**ერთი** მეტად ავი ზნე სჭირს ჩვენს ზოგიერთ მწვრთნელს — თავიანთი აღსაზრდელების წარუმატებლობის შემდეგ ისინი მუდამ გაფაციცებით ეძებენ „გასამართლებელ“ არგუმენტს — ეს სეზონის დასაწყისია და მხოლოდ საერთო ფიზიკურ მომზადებას ვუთმობდით ყურადღებას, მთავარი სტარტი წინ არისო... მოდის მთავარი სტარტიც, ფინიშიც და... პირველ რიგში ახალ გასამართლებელ საბუთებს იშველიებენ.

აი, დამთავრდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაც — წლევანდელი სეზონის მთავარი შეჯიბრება და კვლავ ნაცნობ სურათს ვხედავთ: იმ სახეობებში, სადაც უსაშველოდ ჩამოვრჩით, მწვრთნელები ისევ და ისევ თავის მართლების „საქმით“ არიან გატაცებულნი. აი, თუნდაც ცურვა ავიღოთ.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მოცურავეთა მწვრთნელებსა და მათ მოწაფეებს მართლაც მრავლად ჰქონდათ ხელისშემშლელი პირობები.

მაგრამ მოდით, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბროთ.

ახლა კი კითხვა ამგვარად დავსვათ: ვთქვათ, მათ რომ მთელი სეზონის მანძილზე მუშაობა საათივით ჰქონოდათ აწყობილი და სპარტაკიადაზე ის შედეგები ეჩვენებინათ, რომლებიც დაგეგმილი ჰქონდათ, ამ შემთხვევაში თუ დაიმსახურებდნენ ჩვენი მოცურავეები ქებას? რა თქმა უნდა, არა! და აი რატომ: საქართველოს იმ მოცურავეებიდან, რომლებიც ტაშკენტში გამოდიოდნენ, თავიანთი „დაგეგმილი“ შედეგებით ორი-სამი სპორტსმენი თუ შეძლებდა საპრიზო ადგილის დაკავებას. მაგრამ ამას ვინ ჩივის, მთელ რიგ სახეობებში რვა ფინალისტის შორისაც ვერ მოხვდებოდნენ (ეს მხოლოდ ერთმა — ნ. მოროზოვმა შეძლო, რომელმაც VII ადგილი დაიკავა). და ეს მაშინ, როცა რესპუბლიკაში მოცურავეთა აღზრდას 176 მწვრთნელი (!) ემსახურება. ყოველ მეათეს მაინც რომ თითო კარგი მოცურავე აღეზარდა, სურათი სულ სხვა იქნებოდა.

მაინც რა ადგილს უმიზნებდნენ ჩვენი მწვრთნელები მოსწავლეთა სპარტაკიადაზე?

ისინი ფრიად კმაყოფილნი დარჩებოდნენ, ტაშკენტში VIII ადგილსაც თუ დაიკავებდნენ.

აკი საქართველოს მოცურავეთა ერთ-ერთმა მთავარმა მწვრთნელმა კმაყოფილების გრძნობით გვითხრა, არც თუ ისე ცუდადა გვაქვს საქმე, როგორც გგონიათ — წლეულს გამართულ საკავშირო შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების საერთო ჯამით VIII ადგილზე ვართო.

— უკანასკნელ წლებში საქართველოს მოცურავეები საკავშირო პირველობებში VIII ადგილს ვერაფრით ვერ გასცდნენ. ეს ხომ ერთი ადგილის ტკეპნაა. ეგ კი არა და, საქართველოს ერთი-ორი მოცურავე წინათ ყველა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა, ახლა კი ერთობ საეჭვოა, რომ თქვენი თუნდაც ერთი მოცურავე მოსკოვის ოლიმპიურ აუზში ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, დღეს საკავშირო ნაკრებში საქართველოს არც ერთი მოცურავე არაა პირველ ნომრად აღიარებული, — ამბობს სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ცურვის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. აგალცოვი.

ალბათ, საკავშირო პირველობებში VIII ადგილების დაკავებით გამოწვეული კმაყოფილების გრძნობაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს მოსწავლე მოცურავეთა ნაკრები, ფაქტიურად რესპუბლიკის ნაღები, მეტისმეტად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს. ეგ კი არა და, თუ ათი წლის წინანდელ მსოფლიო რეკორდებს ავიღებთ და წლევანდელი სეზონის დასაწყისისთვის ჩვენი მოცურავეების მიღწევებს შევადარებთ, სურათი მაინცდამაინც არც აქ შეიცვლება. ქალებში, მაგალითად, თ. ლეკვეიშვილის შედეგი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ერთადერთია, რომელიც კანადელი ტანერის იმდროინდელ მსოფლიო რეკორდს 0,1 წამით სჯობს. ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ ლეკვეიშვილის საქართველოს რეკორდებს ჯერჯერობით ვერც ერთი ჩვენი მოცურავე ვერ უახლოვდება. იქნებ ვაჟებში უკეთ გამოიყურება ამგვარი შედარება? მცირედი გამონაკლისის გარდა აქაც იგივე მდგომარეობაა. ათი წლის წინანდელ მსოფლიო რეკორდებს მხოლოდ თბილისელი ი. კუშპელიოვის რესპუბლიკური მიღწევები (400 და 1500 მეტრებზე თავისუფალი სტილით ცურვაში) აჭარბებს. ბათუმელ ი. ომელჩენკოს შედეგები კი გდრ-ს წარმომადგენელ მათესის რეკორდებს უთანაბრდება. ესაა და ეს. იქნებ უხერხულიცაა, საქართველოს რეკორდებს მსოფლიო მიღწევებს რომ ვადარებთ, მაგრამ მაგალითი ხომ საუკეთესოებისაგან უნდა ავიღოთ.

თუ მსგავს შეჯიბრებას საკავშირო რეკორდებთან მოვახდენთ, ჩვენი მოცურავეების ჩამორჩენა აქაც საკმაოდ ხელსახები იქნება.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. ათი წლის წინათ მსოფლიოს საუკეთესო მოცურავეები, მაგალითად, ამერიკელები უიჩმენი, ჰიუტი, ხორსლი და სხვები ყოველდღიურად საშუალოდ 5000 მეტრს ცურავდნენ. მაგრამ მსოფლიო სარბიელზე კონკურენცია იზრდებოდა და ამის შესაბამისად მოცურავეებიც სულ უფრო და უფრო უმატებდნენ როგორც ვარჯიშის ინტენსიურობას, ისე ყოველდღიურად გაცურული კილომეტრების რაოდენობას.

დღეს მსოფლიოს საუკეთესო მოცურავეები, სულ ცოტა, 14 ათას მეტრამდე მაინც ცურავენ. „მოდას“ არც საქართველოს წარმომადგენლები ჩამორჩებიან — ისინიც ყოველდღიურად 12-14 კილომეტრს ცურავენ. საოცარი კია, წარმატებებს კვლავ ვერ აღწევენ. იქნებ სჯობდა, ჩვენს მოცურავეებს დღეში ისევ 5-6 კილომეტრი დაეფარათ, ათი წლის წინანდელი ვარჯიშის მოწინავე მეთოდები დაენერგათ და იმ შედეგებისთვის მიეღწიათ, რომლებსაც მაშინ და უფრო ადრე აღწევდნენ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები.

ერთი კურიოზული ამბავი მახსენდება. ამ ათიოდე წლის წინათ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში საინტერესო კინოფირები მოიტანეს. მათში ნაჩვენები იყო მსოფლიოს რეკორდსმენთა ცურვის ტექნიკა. ფარი, ბუნებრივია, საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელებსა და მოცურავეებსაც უჩვენეს. ჰოდა, სწორედ ამ ფილმების დემონსტრაციის შემდეგ იყო ჩვენი ზოგიერთი მწვრთნელი თავის აღსაზრდელებს რომ შეუჩნდა, არიქა, მსოფლიო რეკორდსმენი, ვთქვათ ბრასის სტილით ცურვაში ხელებს მოსმისას თურმე ძალიან განზე არ შლის, ან კიდევ ის კროლისტი ფეხებს მაკრატელსავით კი არა, ერთი დარტყმის გამოტოვებით ამოძრავებსო და თქვენც, გინდათ თუ არა, ასე უნდა იცუროთო. მერე გავიდა ხანი, გამოჩნდა ახალი მსოფლიოს რეკორდსმენი. მას სხვაგვარი სტილი ჰქონდა და ჩვენი მწვრთნელებიც „მოდის“ შესაბამისად ჩასჩიჩინებდნენ თავიანთ მოწაფეებს, ცურვის სტილი იმისებურად შეიცვალეთო. ის კი ავიწყდებოდათ, რომ ყველა მოცურავეს თავისი ინდივიდუალური სტილი ჰქონდა გამომუშავებული და მას შეცვლა კი არა, განვითარება და დახვეწა სჭირდებოდა.

საქართველოს მოცურავეთა მწვრთნელების, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობის „აქილევსის ქუსლი“ ისიცაა, რომ ბავშვებს იმთავითვე არ აჩვევენ ოთხივე სტილით ცურვას. არადა, საერთო მომზადებაში ვარჯიშისას მოცურავისთვის, ვთქვათ ბრასისტისთვის, ყველაზე უებარი საშუალება ბატერფლაით ცურვაა, კროლისტისთვის — გულაღმა და ა. შ. ის სპორტსმენი, ვინც ოთხივე სტილს კარგადაა დაუფლებული, „თავის“ სახეობაში კარგად ცურავს. გავიხსენოთ სახელგანთქმული სპიტცი, კოლბი (ორივე — აშშ), მათესი, ენდერი (ორივე — გდრ) და სხვები, რომლებიც არა მხოლოდ „თავიანთ“ სახეობაში, არამედ სხვა სტილით ცურვაშიც ამყარებდნენ მსოფლიო რეკორდებს. ერთობ საეჭვოა, მხოლოდ ერთი სტილით ცურვას რომ ყოფილიყვნენ დაუფლებულნი, მათ ასეთი დიდი წარმატებებისთვის მიეღწიათ.

ჩვენი მწვრთნელები იმთავითვე რომ არ აქცევენ ყურადღებას ბავშვთა შორის ოთხივე სტილით ცურვას, ამას გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის — „მხიარული დელფინის“ გათამაშებაც ადასტურებს. წინათ, ვთქვათ ათი-თხუთმეტი წლის წინათ თუ პრიზიორთა შორის ჩვენი ხუთი-ექვსი ნორჩი მოცურავე მუდამ ხვდებოდა, ახლა საპატიო კვარცხლბეკზე საქართველოს წარმომადგენელს ვერ ვხედავთ. „მხიარული დელფინის“ მოსაპოვებლად კი ახლა სწორედ ოთხივე სტილით ცურვა, კარგად ცურვაა საჭირო. თუმცა, ჩვენი მოცურავეები იმ წლებში იქნებ იმიტომაც აღწევდნენ წარმატებას, რომ უმრავლესობას მწვრთნელების ხელშეწყობით დაბადების მოწმობები ჰქონდათ გადაკეთებული — ერთი-ორი წლით იყვნენ „გაახალგაზრდავებულნი“.

ამგვარი მავნე ტრადიცია კვლავაც ხომ არ გრძელდება? ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ნორჩების სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებებში („მხიარული დელფინის“ გარდა) ჩვენი მოცურავეები, ასე თუ ისე, წარმატებებს აღწევენ, ხოლო, როცა უფროსები ხდებიან, უნუგეშოდ ჩამორჩებიან მეტოქეებს...

ჩვენს მოცურავეებს განსაკუთრებით ცუდად აქვთ საქმე ქალთა გუნდში. მათ შორის ყველაზე სავალალო მდგომარეობა ბატერფლაით მოცურავეებს აქვთ. აქ ერთი საიმედო სპორტსმენიც კი არ გვეგულება.

თავი დავანებოთ ჩვენი გუნდის ტრადიციულად ჩამორჩენილ მხარეს. რამდენიმე სიტყვა ბრასისტებზე ვთქვათ. ბრასით ცურვა ის სახეობაა, სადაც ჩვენი რესპუბლიკა ტრადიციულად ძლიერი იყო. გავიხსენოთ ა. ანტონიანი, ვ. ფუნიკოვი, ა. ტუტაკაევი, ი. კიდდიანოვი... ისინი საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე მეტნაკლებად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ. ახლა კი თუ თვალს გადავავლებთ რესპუბლიკური რეკორდების ცხრილს, დავინახავთ, რომ 200 მეტრზე ვაჟთა ცურვაში 18 წლის წინანდელი რეკორდია აღნიშნული. 100 მეტრზე დამყარებული რეკორდი შედარებით ახალგაზრდაა, იგი 7 წლის წინანდელია. ამდენივე ხნისაა ქალთა შორის დამყარებული რეკორდიც 200 მეტრზე ცურვაში, ხოლო 100 მეტრზე ნაჩვენები მიღწევა ათი წლისა გახდა. ყოველივე ამაზე რომ ვსაუბრობთ, მახსენდება ტაშკენტში აკრედიტებული ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის სიტყვები, რომლებიც სპარტაკიადის შემდეგ დაიბეჭდა „ლელოში“:

„...საცურაო აუზების თვალშისაცემი ნაკლებობა მედლის ერთი, საკმაოდ მუქი მხარეა, თუმცა, არა იმდენად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი, როგორიცაა თვით მწვრთნელებისა და აღმზრდელების კვალიფიკაცია, პროფესიული ოსტატობის დონე. სპორტული ბაზები ხომ საჭიროა და აუცილებელი, მაგრამ ნაღდი სპეციალისტებიც გვჭირდება, სპეციალისტ-ნოვატორები, ისეთები, ჩემპიონებისა და რეკორდსმენების აღზრდა რომ შეეძლებათ“.

ამ სიტყვებმა ჩვენი მწვრთნელების გულისწყრომა გამოიწვია, რომელიც კულისებს მიღმა გამოთქვეს. აბა, ვინაა ჩვენს შორის უკვალიფიკაციო, ყველანი სპეციალისტის დიპლომებით ვართ და ზოგი ჩვენგანი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელიცაა.

კი ბატონო, არიან — დამსახურებული მწვრთნელის წოდებები ძველი დამსახურებისთვის მოიპოვეს. მაგრამ ახლა?...

ახლა, ალბათ მწვრთნელები იტყვიან ვარჯიშისთვის ერთობ ცუდი პირობები გვაქვსო. იტყვიან და ცამდე მართალნი იქნებიან, მაგრამ განა იგივე და გაცილებით ცუდი მდგომარეობა არა იყო ამ ათი და თვრამეტი წლის წინათ? მაშინ ხომ ბევრად უკეთ ცურავდნენ ჩვენი ბრასისტები. იგივე შეიძლება ითქვას 100 და 200 მეტრზე ქალთა გულაღმა ცურვაზეც. რას ნიშნავს ეს? იქნებ იმას, რომ ბევრი ჩვენი მწვრთნელი მიღწეულით დაკმაყოფილდა, მოწინავე მეთოდებით აღჭურვისთვის კი აღარ ფიქრობს. ან კიდევ, განა ჩვენი წყალში მხტომელები უარეს დღეში არ არიან? როგორც მოცურავეები, ისინიც ისევე და უფრო მეტადაც განიცდიდნენ აუზების ნაკლებობას. მათ ხომ აუზის გარდა სახტომი კოშკები და ტრამპლინებიც სჭირდებათ? მიუხედავად ამისა, ჩვენმა წყალში მხტომელებმა სპარტაკიადაზე III ადგილი დაიკავეს.

ამჯერად, წერილის დასაწყისში დაპირებისამებრ, იმ ხელისშემშლელ პირობებზე მოგახსენებთ, რომლებიც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის სამზადისში ჩვენს მოცურავეებსა და მათ აღმზრდელებს ჰქონდათ.

საცურაო აუზებით დავიწყოთ. მოცურავეთა ბაზების საოცარ სიმცირეზე ბევრი დაწერილა და კიდევ უფრო მეტი თქმულა. მაგრამ რაცა გვაქვს, იმასაც რომ ვერ ვიყენებთ? მაგალითად, ჭიათურაში დახურული აუზი ააგეს გათბობით და მასზე დიდ იმედებსაც ვამყარებდით, მაგრამ „შავი ოქროს“ ქალაქში ის აუზი ისე ცუდად მუშაობს, რომ ახლა სათვალავში ჩასაგდები არცაა. ბუნებრივია, რესპუბლიკის ნაკრებში არც ერთი ჭიათურელი მოცურავე არა გვყავს.

ბევრი საყვედური გამოთქმულა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სოხუმის აუზის რემონტზე და გათბობის [illegible], მაგრამ... შეაყარე კედელს ცერცვიო, სწორედ [illegible].

თუმცა, პერიფერიებში წასვლა და იქიდან მაგალითების მოტანა რა საჭიროა, როცა თბილისშიც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იყო. მაგალითად, ამ ზაფხულს ერთადერთი ბაზა — „ლოკომოტივის“ საცურაო აუზი მუშაობდა, ჩვენი მოცურავეებიც იქ გადიოდნენ შეკრებას. მათი ვარჯიშის პირობებზე რომ დაახლოებით მაინც შეგექმნათ წარმოდგენა, მოვიყვანთ სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, მექსიკის ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორის, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენის, მოსკოველი მოცურავე ს. ბელიც-გეიმანის სიტყვებს, რომელიც ჩვენი სპორტსმენების ვარჯიშს დაესწრო.

„წარმოიდგინეთ ამ საცურაო აუზში, მღვრიე წყალში გამართული შეჯიბრება. სპორტსმენი უხალისოდ გამოვა სტარტზე და ბუნებრივია, ამის შემდეგ მაღალ შედეგებზე ოცნებაც ზედმეტი იქნება“.

ახლა ამას დაუმატეთ ისიც, რომ წყლის ტემპერატურა 30 გრადუსამდე იყო, არც კედლის წამმზომი მუშაობდა. ეს კიდევ არაფერი, აუზი ხულიგნებით იყო სავსე, გოგონებს დასდევდნენ, სხვებს ხელს უშლიდნენ ვარჯიშში, მწვრთნელების მუდარასა და მუქარას კი არად აგდებდნენ. მხოლოდ შეკრების დასასრულს მილიციის საშუალებით მოხერხდა ხულიგანთა განდევნა.

ჩვენი მოცურავეები შეკრებაზე ტყიბულშიც ჩავიდნენ. ჩავიდნენ... თავიანთი საცურაო ბილიკებით. მაგრამ იქ დაპირებული კედლის წამმზომი არავის ჩაუტანია, მერე იყო და ჩვენი მოცურავეები მასაჟისტმაც მიატოვა, ნაკრებ გუნდს არც აღმდგენითი მედიკამენტები ჰქონდა, არც ორთქლის აბანო, არადა, ინტენსიური ვარჯიშისთვის ყოველივე ეს მეტად საჭიროა.

მწვრთნელები იმასაც უჩივიან, საუწყებო შეჯიბრებებიც ხელს გვიშლიდა სპარტაკიადის მზადებისთვისო.

საქართველოს ნაკრების მოცურავეების შეკრებაზე ალმა-ათაშიც ჩავიდნენ, ოღონდ... მოსკოვის გავლით. ალმა-ათაში კი ერთი დღე-ღამე ღია ცის ქვეშ დარჩნენ. ცუდად იყო მოგვარებული კვების საქმეც. ყოველივე ამის გამო, მოცურავეებმა ვერ შეასრულეს დასახული ვარჯიშის მოცულობა. მერე იყო და ნაკრების წევრებს გ. არზუმანოვსა და ი. კოროტკოვას დისკვალიფიკაცია მისცეს. განათლების სამინისტროს მწვრთნელი ვ. ლაბისოვი კი თავის აღსაზრდელ ვ. კუბულავას შეკრებებიდან მალავდა. აღმზრდელი აღსაზრდელს თურმე აგერ უკვე ორი წელია, თავის საკუთრებად თვლის. ამას დაემატა ისიც, რომ ნაკრების მწვრთნელები ცუდად იყვნენ ინფორმირებული სპარტაკიადის ჩათვლის სისტემაზე.

როგორც ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, საქართველოს მოცურავეთა მწვრთნელებს ორგანიზაციული საკითხები ვერ მოუგვარებიათ. მაგრამ, საქართველოში ცურვის მესვეურთაგან არც ერთს არ დასცდენია, რომ ტაშკენტში აგრე რიგად უფერული გამოსვლისთვის და საერთოდ რესპუბლიკაში ცურვის განვითარების ერთობ დაბალი დონისთვის ჩვენც მივუძღვის „წვლილი“.

ახლა, როცა სსრ კავშირის VII სპარტაკიადა მოგვიახლოვდა, ვფიქრობთ, აღარც გასამართლებელი საბუთების ძებნისა და ერთმანეთზე გადაბრალების დროა. ეს კარგს არაფერს გვიქადის. დღესვე ყველამ ერთად დავიკაპიწოთ მკლავები და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის კიდევ ერთი მწარე გაკვეთილი გავითვალისწინოთ.

**ა. გურასაშვილი.**

---

**წერილების კვალდაკვალ**

## „ზაფხულია, ცხელა, ცხელა...“

„ლელოს“ 17 აგვისტოს ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ სარეიდო ბრიგადის ანგარიშში ლაპარაკი იყო ჩვენი დედაქალაქის საცურაო აუზების გამოუყენებლობის შესახებ. სხვა ბაზებთან ერთად გაკრიტიკებული იყო თბილისის სახალხო განათლების განყოფილების აუზების უხეირო მუშაობაც. კერძოდ აღნიშნული იყო, რომ საირმის ქუჩაზე არსებული ორაბაზანიანი ბაზა გაჭიანურებული რემონტის გამო უქმად იდგა. იქვე 50-მეტრიანი აუზის მშენებლობა შეჩერებული იყო, ხოლო ნუცუბიძის ქუჩის აუზი რემონტს საჭიროებდა.

როგორც ქალაქის განათლების განყოფილების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სექტორის გამგე ა. გიორგობიანი გვატყობინებს, გაზეთში მინიშნებული ხარვეზები ნაწილობრივ გამოსწორდა: საირმის ქუჩაზე არსებული ბაზა 7-დან 22-საათამდე მუშაობს, რაც შეეხება ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე ნაგებობას, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მისი შეკეთება დავალებული ჰქონდა ტრესტ „ინჟმშენის“ მეორე სამმართველოს, მაგრამ აქ ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა.

# კარგი პერსპექტივები

სსრ კავშირსა და იამაიკას შორის ურთიერთდამოკიდებულების ისტორიაში პირველად, მოსკოვში, 16 ნოემბერს ხელმოწერილი იქნა გრძელვადიანი ხელშეკრულება სპორტის დარგში. ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს მრავალმხრივ თანამშრომლობას, ხელი მოაწერეს სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა და იამაიკის ახალგაზრდობის, სპორტისა და სოციალური განვითარების საქმის მინისტრმა ხიუ სმოლმა.

— მოლაპარაკების დროს სპორტული მოძრაობის საკითხებში ჩვენი შეხედულებები თითქმის დაემთხვა. — ხაზგასმით აღნიშნა პავლოვმა.

— ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სსრ კავშირში მასობრივი სპორტის ორგანიზაციამ და ჩვენ გვინდა ვისწავლოთ თქვენგან. ვეცდებით თქვენი გამოცდილება გამოვიყენოთ ჩვენს პირობებში, — თქვა სმოლმა. — ჩვენი აზრით, „ოლიმპიადა-80“ მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება არა მარტო სპორტის სფეროში, არამედ სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა შორის ურთიერთდამოკიდებულების ისტორიაშიც.

იამაიკას განზრახული აქვს თავისი წარმომადგენლები გამოგზავნოს არა მარტო ოლიმპიურ თამაშებზე, არამედ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზეც.

ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხის გაცემისას სმოლმა თქვა, რომ კარიბის აუზის ამ ქვეყნის ათლეტთა შორის არის ოლიმპიურ თამაშებში საპრიზო ადგილების სამი კანდიდატი მაინც.

ხელმოწერას დაესწრო იამაიკის ელჩი სსრ კავშირში ბენჯამინ კლერი. (საკდესი).

# პოპულარული ჭიდაობის იუბილე

16 ოქტომბერს სპორტის მოყვარულებმა საზეიმოდ აღნიშნეს ჭიდაობა სამბოს 40 წლისთავი. მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში თავი მოიყარეს ამ ჭიდაობის ფუძემდებლებმა, პირველმა ჩემპიონებმა, ცნობილმა მწვრთნელებმა. მათ შორის იყო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სამბოს გამოჩენილ ოსტატთა მთელი პლეადის აღმზრდელი, წიგნის „ჭიდაობა სამბოს“ ავტორი ა. ხარლამპიევი.

ზეიმი სადღესასწაულო პარადით გახსნეს ლენინგრადიდან, კიევიდან, ბაქოდან, ერევნიდან, ტაშკენტიდან, თბილისიდან, რიგიდან, ხარკოვიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა ვეტერანებმა. ბევრ მათგანს მკერდს უმშვენებდა არა მარტო სპორტული, არამედ საბრძოლო და შრომითი ჯილდოები. სტუმრებმა ნახეს აზერბაიჯანისა და სომხეთის მოჭიდავეთა საჩვენებელი გამოსვლები.

საიუბილეო საკავშირო შეჯიბრების ფინალში გავიდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოსა და მოსკოვის ნაკრები გუნდები. I ადგილი დაიკავეს უკრაინელმა სპორტსმენებმა, II ადგილზე გავიდნენ რსფსრ-ს ათლეტები, ხოლო III — საქართველოს წარმომადგენლები.

იმაზე, თუ როგორი პოპულარული გახდა იაპონიაში ჭიდაობა სამბო, საკდესის კორესპონდენტს ესაუბრა ზეიმის სტუმარი, ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელი ს. კოგა. ამჟამად, — თქვა მან, — სამბოს სექციები არის ტოკიოში, ოსაკაში, ნაგოიაში, კიოტოსა და სხვა ქალაქებში რეგულარულად ეწყობა ქვეყნის ჩემპიონატები, სამბოთა სამბისტებთან შეხვედრები.

თვით კოგა მოსკოვში ჩამოვიდა ტოკიოს უნივერსიტეტის სპორტული კლუბის დავალებით, სამბისტებისა და ძიუდოისტების დელეგაციათა გაცვლის თაობაზე სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკთან“ მოსალაპარაკებლად. (საკდესი).

# მოსკოვი — XXII თამაშების სარბიელი

## „ინტერვიზიის“ მოსკოვური არხი

**საორგანიზაციო** კომიტეტის „ოლიმპიადა-80“-ის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. კოვალმა და რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საერთაშორისო ორგანიზაციის (ოირტ) გენერალურმა მდივანმა ე. გრჟებეკმა (ჩეხოსლოვაკია) ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც ოირტ-ს ოლიმპიურ შეჯიბრებათა ტრანსლაციის უფლება ეძლევა. „ინტერვიზიის“ სისტემაში შემავალი სოციალისტური ქვეყნების მილიონობით მცხოვრებნი მოსკოვის თამაშების პერიპეტიების მოწმენი გახდებიან.

ხელშეკრულების ხელმოწერას ესწრებოდნენ „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ი. დენისოვი და ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის ტელე-რადიოკომიტეტის თავმჯდომარე გ. იუშკიავიჩუსი.

## შეხვედრები, ვიზიტები, მოლაპარაკებანი

ამას წინათ „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომს გაუგზავნა მორიგი ცნობა მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების შესახებ. აღმასკომმა დაამტკიცა საორგანიზაციო კომიტეტის წინადადება ოლიმპიურ ატაშეთა დანიშვნისა და მოვალეობათა რიგითობის, თამაშებზე შესასვლელი ბილეთების გამსაღებელი ეროვნული აგენტების დანიშვნის, კიევში, ლენინგრადსა და მინსკში ოლიმპიური ცეცხლის ანთების ცერემონიალის შესახებ.

ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის მიწვევით დიდ ბრიტანეთში „ოლიმპიური სოლიდარობის“ კურსების მსმენელებისთვის თითქმის ერთი კვირის მანძილზე „მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის მზადების შესახებ“ ლექციებს კითხულობდა „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი ა. ანდრიანოვი. კურსებს 31 ქვეყნის 37 სპორტული ხელმძღვანელი ესწრებოდა.

## სწრაფი ტემპით

„ოლიმპიადა-80“-ის მთავარ არენაზე — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მაყურებელთათვის დასაჯდომი ადგილების მოწყობა, კომენტატორთა კაბინების რეკონსტრუქცია. უკვე დასრულდა მცირე სპორტული სარბიელის გადახურვა, ახლა აქ ტრიბუნებქვეშა სათავსებისა და საინჟინრო მოწყობილობათა რეკონსტრუქცია მიმდინარეობს.

საცურაო აუზის ტრიბუნებზე აწყობენ დასაჯდომებს, მიმდინარეობს აბაზანების მოპირკეთება. სპორტის სასახლეში მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა მთავარი სარბიელისა და ტრიბუნებქვეშა სათავსების კეთილმოსაწყობად. საგრძნობი სამუშაოები შეასრულეს, აგრეთვე, სპორტსმენთა ახალი გასახდელი ნაგებობების მოსაწყობად. უნივერსალურ სპორტულ დარბაზში დასრულდა რკინა-ბეტონის კარსის მონტაჟი და ახლა სპეციალისტები ტრიბუნების მოწყობას შეუდგნენ. ამ ობიექტზე ჰოკეიში მსოფლიოს 1979 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის დასრულდება ხმის გასაძლიერებელი სისტემის მოწყობა.

მშვიდობის პროსპექტთან მდებარე დახურულ სტადიონზე მშენებლებმა დაამთავრეს საყრდენი წრის დაბეტონება, დასასრულს უახლოვდება გადახურვისთვის საჭირო ლითონის ფერმების დაყენება. პარალელურად მიმდინარეობს ტრიბუნებსქვეშა სათავსების აგება და კეთილმოწყობა.

ცსკა-ს დახურულ მანეჟში, სადაც ოლიმპიადის პროგრამით 1980 წლის 20-24 ივლისს კლასიკურ ჭიდაობაში, ხოლო 27-31 ივლისს თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური მედლები გათამაშდება, დასრულდა ვიტრაჟების დაყენება და შენობის შემინვა, თბო-და ელექტრომომარაგების სისტემის გაწყობა, დაიწყო მეტალოგალოიდური ნათურებიანი ჭაღების დაყენება. ამ დარბაზში 20, 21 და 22 ივლისს დილა-საღამოს გაიმართება კლასიკურ მოჭიდავეთა I, II და III წრეების წინასწარი შეხვედრები, 23 ივლისს — IV და V წრის ბრძოლები, ხოლო 24 ივლისს ჩატარდება ფინალები წრიული სისტემით. 27 ივლისიდან ამავე ფორმულით გაიმართება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირი.

## ელექტროკავშირის სისტემა ოლიმპიურ ობიექტებზე

ოლიმპიური ობიექტების დამპროექტებლებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ელექტროკავშირის სისტემის განახლებისათვის ზრუნვა. უკვე დამთავრდა ხმის გამაძლიერებლების სისტემის, საათების ელექტროფიკაციისა და სიგნალიზაციის, ტელეფონების ავტომატიზაციისა და ოპერატიული კავშირების ადმინისტრაციული და სამსაჯო რადიოკავშირების, ყველა ოლიმპიური ობიექტის სამომსახურო ტელეხედვის შესაცვლელი საპროექტო სამუშაოები. ამ დღეებში დასრულდა, აგრეთვე, მშვიდობის პროსპექტთან არსებული დახურული სტადიონის ხმის გამაძლიერებლის უნიკალური სისტემისა და მთავარი პრეს-ცენტრის კვაზიელექტრული ატს-ის დაპროექტება.

მოსკოვის ოლიმპიადის სპორტულ ნაგებობათა ელექტროკავშირების სისტემის აპარატურა და აღჭურვილობა ძირითადად სამამულო წარმოებისაა და მათი მიწოდება შეუფერხებლად ხორციელდება.

ოლიმპიურ ობიექტებზე შეუფერხებლად სრულდება, აგრეთვე, კაბელმავთულების ჩაწყობა. მოსკოვში ამ სამონტაჟო სამუშაოების გეგმიურ დავალებათა შესრულებაში აქტიურად შრომობენ სსრ კავშირის სხვა ქალაქების სპეციალისტებიც.

ყველა ობიექტზე ელექტროკავშირებს [?]კრივისტები[?] [?]აეწყობა[?] გაისად, სსრ ხალხთა VII სპარტაკიადის დაწყებამდე. როგორც ცნობილია, სპარტაკიადაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების გარდა იასპარეზებს საზღვარგარეთის რამდენიმე ათასი სპორტსმენი.



ლენინგრადში სწრაფი ტემპით შენდება უნივერსალური სპორტის სასახლე, რომელიც 25 ათას მაყურებელს დაიტევს.



მინსკის მახლობლად, კომკავშირის ტბის ნაპირზე აიგო ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და ჭაბუკთა სკოლის სპორტული კომპლექსი.



ტალინში, მდინარე პირიტაზე, სადაც ოლიმპიური რეგატა გაიმართება, შენდება საიალქნო სპორტის ცენტრი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## პროფკავშირები ემზადებიან

**„ოლიმპიადა-80“-ის** საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის ვ. ბოგატიკოვის თავმჯდომარეობით ამას წინათ გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს მოსკოვის ოლიმპიადის მოსამზადებელი კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელმაც იმსჯელა პროფკავშირული ოლიმპიური ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მიმდინარეობაზე, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების სპორტნაგებობათა მზადებაზე. როგორც ცნობილია, ეს [?]ბაზები თამაშების[?] მონაწილეთა სა[?]ვარჯიშო[?] ცენტრებად გადაიქცევა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების, პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების ხელმძღვანელები, საკავშირო პროფსაბჭოს უწყებებისა და დაწესებულებების პასუხისმგებელი მუშაკები.

**ტურიზმისა** და ექსკურსიების მოსკოვის საქალაქო საბჭოსთან მუშაობა დაიწყო „ოლიმპიადა-80“-ის ტურისტულ საექსკურსიო პროგრამის მომსახურე კადრების მოსამზადებელმა სასწავლო-საკურსო კომბინატმა. ამ კომბინატში უკვე მეცადინეობს იზმაილოვოს სასტუმრო კომპლექსისა და ტურისტთა ცენტრალური სახლის მომსახურე ოფიციანტების მოსამზადებელი პირველი ჯგუფი.

**„სპარტაკის“** ცენტრალურმა საბჭომ სსრ კავშირის ტელეხედვისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებისთვის გამოაცხადა რადიოკონკურსი „სპარტაკელები — ოლიმპიადის გზაზე“. კონკურსში გამარჯვებულთ გადაეცემათ ცნობილი სპარტაკელი სპორტსმენების ავტოგრაფიანი სუვენირები და დიპლომები.

**„იიუდის“** ცენტრალურმა საბჭომ ესტონეთში ფართოდ გაშალა მასობრივი სპორტული მოძრაობა დევიზით „ოლიმპიადა — ყველასთვის“ და „ყველა რაიონს — ოლიმპიური იმედი“. ამ მოძრაობაში უკვე ჩაება ესტონეთის 70 ათასი სოფლის ფიზკულტურელი.

**„ფახთაკორის“** ცენტრალურმა საბჭომ უზბეკეთის ტერიტორიაზე გამართა ვარსკვლავისებური ესტაფეტა დევიზით „ოლიმპიური წელი — არა მარტო ოლიმპიელებისთვის“, ესტაფეტის მონაწილეები მოსახლეობაში გამოდიოდნენ ლექციებითა და საუბრებით სსრ კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე, „ოლიმპიადა-80“-ისთვის მზადებაზე.

●

## ოლიმპიური „სპორტლოტოს“ ტირაჟი

15 ნოემბერს პრაღაში გაიმართა „საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტოს“ ტირაჟი, რომლის შედეგები ასეთია:

**6 — 49-დან** მოგება ხვდათ შემდეგ ციფრებს: **8, 9, 10, 11, 33, 46.**

ის მოქალაქენი, რომელთა ბილეთის უკანასკნელი ხუთი ციფრია **05269**, მიიღებენ მოსკოვის 1980 წლის XXII ოლიმპიადაზე დასასწრებ ტურისტულ საგზურებს.

## კიდევ ორი შეხვედრა

**ნიუ-იორკი** (საკდესი). სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც აგრძელებს ტურნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კიდევ ორი მატჩი გამართა. პირველი შეხვედრა დათმო მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდთან — 60:76, ხოლო ილინოისის უნივერსიტეტის კალათბურთელებთან მატჩში კი გაიმარჯვა — 77:73.

მიჩიგანელებთან ჩვენი ნაკრები ნამგზავრი, აეროპორტიდან პირდაპირ მოედანზე გავიდა. ყველა ჩვენი კალათბურთელი შედარებით სუსტად თამაშობდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მოწინააღმდეგე ძალზე ძლიერი იყო. მასპინძლებმა სწრაფი, თანამედროვე კალათბურთი აჩვენეს, მათ შორის გამოირჩეოდა ერვინ ჯონსონი (სიმაღლე 207 სმ), რომელიც ამერიკელ მოყვარულ კალათბურთელთა შორის ერთ-ერთ უძლიერეს მცველად ითვლება.

მეორე შეხვედრაში ამერიკელები დაწინაურდნენ — 20:10 და თუმცა ანგარიშში სხვაობა თანდათან მცირდებოდა, ტაიმის მოგება მასპინძლებმა მაინც შეძლეს — 41:34.

შესვენების შემდეგ ჩვენმა გუნდმა მიმართა პრესინგს, ტემპსაც უმატა და უკვე 30-ე წუთზე ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ წინ გავიდა. ძირითადი დროის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე სტუმრებს ანგარიში 2 ქულით მიჰყავდათ. მასპინძლებმა, რომლებსაც მხარს უჭერდა 16 ათასი მაყურებელი, გაათრებით შეუტიეს ჩვენი გუნდის კალათს — ისინი ზუსტად ტყორცნიდნენ საშუალო მანძილიდან, მაგრამ საპასუხოდ სტუმრები ყოველთვის ახერხებდნენ ტკაჩენკოს გაყვანას ხელსაყრელ პოზიციაში და ისიც უშეცდომოდ ასრულებდა ტყორცნებს. საფინალო სასტვენის წინ ერიომინმა წერტილი დაუსვა ამ საინტერესო შეხვედრას.

სტუმართაგან ყველაზე მეტი — 20-20 ქულა გუნდს მოუტანეს ტკაჩენკომ და მიშკინმა.

სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა ოკეანისგაღმა 9 მატჩი გამართა, აქედან 7 მოიგო.

## კალათბურთი

## პრიზი — ჩვენია!

**როგორც გუშინ გახდა ცნობილი, „დიდი ფეხბურთის“ ახალი პრიზი „გუნდთან ერთად“, რომელიც დააარსა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების ფეხბურთის ფედერაციამ (გუნდი — სტადიონი — მაყურებელი), მიეკუთვნა თბილისის „დინამოს“.**

## I ლიგა შეივსო

ხარკოვის „მეტალისტის“ შემდეგ სსრ კავშირის საფეხბურთო გათამაშებაში I ლიგის გუნდებს შორის მონაწილეობის უფლება მოიპოვეს პერმის „ზვეზდამ“ და ნალჩიკის „სპარტაკმა“. „ზვეზდამ“ თავის მინდორზე განმეორებითი მატჩი, ისევე როგორც პირველი, მოუგო პავლოდარის „ტრაქტორს“ — 2:0. ნალჩიკის „სპარტაკმა“ 15 ნოემბერს ფრუნზეში წააგო ადგილობრივ „ალგასთან“ — 0:1, მაგრამ ვინაიდან ნალჩიკელებს პირველი შეხვედრა მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:0, I ლიგის საგზური მათი კუთვნილება გახდა.

# ევროპის ჩემპიონატი

გრძელდება ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

### II ჯგუფი

ავსტრიის ნაკრებმა ვენაში მიიღო პორტუგალიის გუნდი და განიცადა მარცხი ანგარიშით 1:2 (0:1).

გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ნენემ და ალბერტომ, ხოლო ავსტრიელთა მხრივ — შახტნერმა.

ამ ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 6—4 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 1 | 0 | 3—2 | 3 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 5—5 | 2 |
| ბელგია | 2 | 0 | 2 | 0 | 2—2 | 2 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 1 | 2 | 3—6 | 1 |

### III ჯგუფი

უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი ვალენსიაში ესპანეთისა და რუმინეთის გუნდებს შორის. მასპინძელთა გუნდს გამარჯვება მოუტანა ასენზის მიერ მე-9 წუთზე გატანილმა ბურთმა.

ესპანელებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს ლიდერის პოზიცია III ჯგუფში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3—1 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3—3 | 2 |
| იუგოსლავია | 2 | 0 | 0 | 2 | 3—5 | 0 |
| კვიპროსი | 0 | 0 | 0 | 0 | 0—0 | 0 |

### IV ჯგუფი

საინტერესო მდგომარეობა შეიქმნა ამ ჯგუფში: ლიდერობენ ჰოლანდიელები, რომლებსაც 6 ქულა აქვთ 6 შესაძლებლიდან. ლიდერს 2 ქულით ჩამორჩებიან პოლონელები, თუმცა მათაც ქულათა მაქსიმუმი აქვთ — 2 მატჩის შემდეგ 4.

განვლილ ოთხშაბათს ჰოლანდიელებმა როტერდამში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები. ჯერ იყო და გდრ-ის ნაკრების მცველმა კიშემ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, შესვენების შემდეგ ანგარიში გაზარდა გეელსმა, მერე კი მანვე ზუსტად გამოიყენა პენალტი.

ვროცლავში თამაშობდნენ პოლონეთისა და შვეიცარიის გუნდები. ბონეკისა და ოგაზას ზუსტმა დარტყმებმა გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა — 2:0.

## თამაშობენ ჩვენი მეტოქეები

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის VI შესარჩევ ჯგუფში, როგორც ცნობილია, ჩვენი მეტოქეები არიან უნგრეთის, საბერძნეთისა და ფინეთის გუნდები.

უნგრელებმა მაინის ფრანკფურტში საწვრთნელი მატჩი გამართეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან. შეხვედრა გაგრძელდა მხოლოდ I საათს, ვინაიდან ძლიერი ნისლის გამო თამაში შეუძლებელი შეიქნა. ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

ბერძნები სკოპლეში შეხვდნენ იუგოსლავიის ნაკრებს და მარცხი განიცადეს — 1:4.

## „ფიფა-ს დადგენილება მცდარია“

**ჟენევა,** 15 ნოემბერი. ჟენევის გაზეთ „სიუისს“ მიაჩნია, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის დადგენილება მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე ფეხბურთელთათვის მოსკოვის ოლიმპიადაზე გამოსვლის აკრძალვის შესახებ, მცდარია.

„ფიფა-ს დადგენილება დისკრიმინაციულია მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე ფეხბურთელთა მიმართ, რომლებიც შეძლონ ეთამაშონ ოლიმპიურ ტურნირზე, — წერს გაზეთი. — ეს გადაწყვეტილება მცდარია კიდევ იმიტომ, რომ იგი მიღებული იქნა მას მერე, რაც დამტკიცდა ოლიმპიადის პროგრამა“.

## მოსკოვის „დინამო“ ინგლისში

**ლონდონი.** ინგლისში სტუმრად იმყოფება მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. პირველი მატჩი მოსკოველებს ჰქონდათ „ბრისტოლთან“. იგი დამთავრდა ფრედ — 0:0.

მეორე შეხვედრა დინამოელებმა ჩაატარეს ლონდონის „ჩელსისთან“. ეს კლუბი დიდი პოპულარობით სარგებლობს ინგლისში, თუმცა წლეულს წარუმატებლად გამოდის ეროვნულ ჩემპიონატში და სატურნირო ცხრილის ბოლოში იმყოფება.

კაზაჩიონოკმა და გერშკოვიჩმა შესვენებისთვის ორჯერ აიღეს „ჩელსის“ კარი. 65-ე წუთზე ინგლისელმა უოკერმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

## 4 მატჩი ლაოსში

**ვიენტიანი.** ლაოსის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხანაგური საერთაშორისო გამოსვლები დაამთავრეს ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა. ბოლო, მეოთხე მატჩი ქუთაისელებს ჰქონდათ ლაოსის დედაქალაქის ნაკრებთან, რომელიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

## ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზე

**პარიზი.** სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა მონაკოში, ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, მარცხი იწვნია საფრანგეთის გუნდისგან — 1:2. ეს იყო ბოლო შეხვედრა ქვეჯგუფში.

ამრიგად, ჩვენმა გუნდმა 3 მატჩში, რომლებიც მას ქვეჯგუფში ჰქონდა, დააგროვა სულ 1 ქულა (პოლონეთთან — 2:2, იტალიასთან — 0:1 და საფრანგეთთან — 1:2). ტურნირის ფინალში გავიდა საფრანგეთის ნაკრები. მისი მეტოქე გამოვლინდება პორტუგალიისა და იუგოსლავიის, ინგლისისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრათა შემდეგ, ინგლისელებსა და იუგოსლაველებს 3-3 ქულა აქვთ.

## გაიმარჯვეს თბილისელებმა

თბილისში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობა ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის.

შეჯიბრების დასკვნით დღეს თბილისის დინამოელებმა ფრედ ითამაშეს კიევის თანაკლუბელებთან (0:0) და I ადგილი დაიკავეს.

III ადგილისთვის იბრძოდნენ მინსკისა და ბრიანსკის გუნდები. გაიმარჯვეს მინსკელებმა — 3:2.

**ფეხბურთი**

# „ოქროს ბუცის“ მფლობელის აზრით...

**ამას წინათ** პარიზში გაიმართა ყოველკვირეული ფრანგული გამოცემა „ფრანს ფუტბოლისა“ და სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ცნობილი ფირმა „ადიდასის“ (გფრ) მიერ დაწესებული პოპულარული პრიზის „ოქროს ბუცის“ გადაცემის ცერემონიალი ევროპის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების 3 საუკეთესო სნაიპერისთვის.

„ოქრო ბუცი“ წილად ხვდა ავსტრიელ ჰ. კრანკლს, რომელმაც 1977-78 წლების ავსტრიის ჩემპიონატში 41 ბურთი გაიტანა ვენის „რაპიდის“ შემადგენლობაში. „ვერცხლის ბუცი“ გადაეცა ფრანგ კ. ბიანკის, რომელმაც „პარი სენ-ჟერმენის“ შემადგენლობაში გაიტანა 37 გოლი. „ბრინჯაოს ბუცის“ მფლობელი გახდა ჰოლანდიელი რ. გეელსი. მან ამსტერდამის „აიაქსის“ შემადგენლობაში ჰოლანდიის ჩემპიონატში გაიტანა 34 ბურთი. საინტერესოა, რომ ამ 3 ბომბარდირიდან ორმა — ჰ. კრანკლმა და რ. გეელსმა დატოვეს თავიანთი კლუბები და უცხოეთში გადავიდნენ.

როგორც ცნობილია, ჰანს კრანკლი სსრ კავშირში იმყოფებოდა ესპანეთის „ბარსელონასთან“ ერთად და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე ითამაშა დონეცკის „შახტიორის“ წინააღმდეგ.

აქ მას ესაუბრნენ საკდესის კორესპონდენტები. ქვემოთ გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

**დასაწყისში** ჰ. კრანკლმა თავისი მონაცემები გააცნო ჟურნალისტებს: ასაკი — 25 წელი, სიმაღლე — 181 სმ, წონა — 75 კგ, ბურთს თამაშობს — 9 წლის ასაკიდან. ფეხბურთის ძირითად პრინციპად მიაჩნია გოლის გატანა მეტოქის კარში, რის გარეშეც საკუთარი თამაში ვერ წარმოუდგენია.

— „საიდუმლოებანი“, რომელთა გახსნასაც ზოგჯერ ცდილობენ ჟურნალისტები, მე არ გამაჩნია. — თქვა ჰ. კრანკლმა. — მოწინააღმდეგის კართან იღბლიანი ვარ ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში. ისევე, როგორც სხვა ფორვარდები, ხშირად განვიცდი მოპირდაპირე მცველთა „არათავაზიან“ მოქმედებას, მაგრამ იმედი მაქვს მსაჯთა ობიექტურობისა, ვინაიდან მათაც უყვართ ფეხბურთი და მოსწონთ როცა თამაშის დროს გოლები გადის.

ხუთი წლის განმავლობაში მასახელებდნენ ავსტრიის საუკეთესო ფეხბურთელად. განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე შვეციის, ესპანეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების კარში გატანილი გოლები გადამწყვეტი აღმოჩნდა, „ოქროს ბუცი“ წილად მხვდა ვენის „რაპიდის“ შემადგენლობაში გატანილი 41 გოლისთვის. ვფიქრობ, ყველაფერი ეს და, რაც მთავარია, „გოლის გრძნობა“ მოეწონათ ესპანეთის „ბარსელონის“ ხელმძღვანელებს, რახან მათ თავიანთ კლუბში მიმიწვიეს.

დონეცკის „შახტიორთან“ მატჩის წინა დღეს ვარჯიშზე ჟურნალისტებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ კრანკლი მხოლოდ მარცხენა ფეხით ურტყამდა კარში.

— არა, მე ცაცია არა ვარ, — განმარტა ფეხბურთელმა. — უბრალოდ, მარცხენა ფეხით უკეთ ვაგზავნი ბურთს მიზანში, ვიდრე მარჯვენით. ამიტომ ვცდილობ არ დავკარგო ეს კოზირი.

**— როდის ჰპოვეთ საერთაშორისო აღიარება?**

— ალბათ, 1974 წელს, როცა ავსტრიის ჩემპიონატში 36 ბურთი გავიტანე და დავიმსახურე ევროპის „ვერცხლის ბუცი“.

**— როგორი იყო თქვენი დებიუტი ავსტრიის ნაკრებში?**

— ეს იყო 1973 წელს. ჩვენ შინ მივიღეთ ბრაზილიის ნაკრები და ვითამაშეთ ფრედ — 1:1. მართალია, მაშინ გოლი არ გამიტანია, მაგრამ შემდგომ შეხვედრაში ჰოლანდიელებთან, მათს მინდორზე როტერდამში, ასევე ფრედ ვითამაშეთ — 1:1 და გოლის გატანაც შევძელი.



ს უ რ ა თ ზ ე: „ოქროს ბუცის“ მფლობელი ჰანს კრანკლი.
ფოტო „ფრანს-ფუტბოლიდან“.

**— რა სიძნელეებს წააწყდით ახალ ქვეყანაში, ახალ კლუბში?**

— პრობლემები საკმარისზე მეტი იყო. გაჭირვებით ვეჩვევი კატალონიის მეტისმეტად ნესტიან კლიმატს და ადგილობრივ სამზარეულოს. სამწუხაროდ მიშლის ხელს ენის არცოდნაც, ამიტომ მეუღლესთან ერთად გაძლიერებით ვსწავლობ ესპანურს. კარგია, რომ ნეესკენსი მაინც ლაპარაკობს გერმანულად. მასთან დიდი მეგობრობა მაქვს.

**— რა დამოკიდებულებაა ოჯახში თქვენი პროფესიისადმი, ფეხბურთისადმი?**

— ჩემი 4 წლის გოგონა და 2 წლის ბიჭი ჯერ ერთობ პატარები არიან ამ საკითხზე რომ რამე წარმოდგენა იქონიონ. მეუღლე დადებითად ეპყრობა ჩემს პროფესიას, თუმცა მთლიანად დაკავებულია ბავშვების აღზრდით. მეც შეძლებისდაგვარად ვიხდი „ვალს“: პირველ პლანზე მყავს ოჯახი და მხოლოდ ამის შემდეგ — ფეხბურთი.

**— ფეხბურთის გარდა სპორტის რა სახეობები გიყვართ?**

— ჰოკეი კანადისა და საბჭოთა კავშირის მოთამაშეთა შესრულებით, აგრეთვე, ჩოგბურთი.

**— დაგვისახელეთ თქვენი მსოფლიო ნაკრები.**

— მაიერი (გფრ), კროლი (ჰოლანდია), პეცეი (ავსტრია), ტარანტინი (არგენტინა), პროხასკა (ავსტრია), ნეესკენსი (ჰოლანდია), კაუზიო (იტალია), პლატინი (საფრანგეთი), როსი (იტალია), კემპესი (არგენტინა), რენსენბრინკი (ჰოლანდია).

**— კი მაგრამ, კრანკლი?**

— თუ საჭირო შეიქნა, გამოვალ შემცვლელად.

**— ბევრი თავდამსხმელი ხომ არ შეგიყვანიათ ნაკრებში?**

— ვიმეორებ ადრე ნათქვამს: ჩემთვის ფეხბურთის მთავარი არსია შეტევა.

ჟურნალისტთა ბოლო შეკითხვა კრანკლის მიმართ ასეთი იყო:

**— აპირებთ თუ არა „შახტიორისა“ და „ბარსელონას“ შეხვედრაში გოლის გატანას?**

ფეხბურთელმა უპასუხა, რომ ამას აუცილებლად გააკეთებს. და, მართლაც, მატჩის 34-ე წუთზე მან თავისი სიტყვა შეასრულა, გოლი გაიტანა, თანაც ეს გააკეთა მარცხენა ფეხით...

# „სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 45-ე ტირაჟებისა, რომელიც 11 ნოემბერს გაიმართა.

„სპორტლოტო 5—36-დან“.

**პირველ** გათამაშებაში ხუთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთია, ოთხი ნომრის ამოცნობისთვის — 187 მან., სამისთვის — 5 მან.

**მეორე** გათამაშებაში ხუთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთს შეადგენს, ოთხისთვის — 260 მან., სამისთვის — 7 მან.

„სპორტლოტო 6—49-დან“.

ვინც **პირველ** გათამაშებაში ხუთი ნომერი ამოიცნო, მიიღებს 4327 მანეთს, ოთხი პლიუს ერთის ამოცნობისთვის მოგება 85 მანეთია; ოთხისთვის — 60 მან; სამისთვის — 3 მან.

**მეორე** გათამაშებაში ხუთი ნომრის ამოცნობაში მიიღებენ 1859 მანეთს, ოთხი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 66 მანეთია, ოთხისთვის — 41 მან; სამისთვის — 3 მან.

მოგებული თანხის გაცემა იწარმოებს 22 ნოემბრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთ „ლელოს“ კოლექტივი თანაუგრძნობს რედაქციის თანამშრომელს ნუგზარ შატაიძეს შვილის

**თამუნას**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; შიდრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 56435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 13386